საქართველოს მოსამართლეთა V კონფერენციის სხდომის ოქმი

თბილისი, 2006 წლის 5 აგვისტო სს "კინოთეატრი რუსთაველი"

მოსამართლეთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 9.00სთ-დან 11.00 სთ-მდე

კონფერენციაზე მოწვეულია 263 მოსამართლე.

რეგისტრაცია გაიარა 225 მოსამართლემ.

კონფერენცია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

კონფერენცია გაიხსნა 11.00 სთ-ზე დასრულდა 16.00 სთ-ზე

სხდომის I ნაწილი

საქართველოს მოსამართლეთა რიგით მეხუთე კონფერენცია გაიხსნა 2006 წლის 5 აგვისტოს 11. 00 საათზე. კონფერენცია გახსნა კონფერენციის ხელმძღვანელმა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა და მიესალმა მის მონაწილეებს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ წარუდგინა მოსამართლეებს კონფერენციის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული. ცვლილებები ან დამატებები კონფერენციის დღის წესრიგში არ შესულა.

ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა კონფერენციას წარუდგინა კონფერენციის სხდომის მდივანი, ქალბატონი მაია ჯვარშეიშვილი, რომლის კანდიდატურაც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის შესაბამისად, გააკეთა მოხსენება სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის შესახებ. მან აღინიშნა, რომ მოსამართლეთა ბოლო კონფერენცია ჩატარდა 3 წლის წინ. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა საქართველოში და ასევე სასამართლო ხელისუფლებაში. ამჟამად სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი სასამართლო რეფორმა, როგორც ინსტიტუციური, ისე საკანონმდებლო თვალსაზრისით. ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა მიმოიხილა საქართველოში არსებული სიტუაცია. აღინიშნა, რომ ქვეყანაში მძვინვარებდა კორუფცია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასამართლოში არსებული სტატისტიკა არ ასახავდა იმ დროს ქვეყანაში არსებულ სიტუაციას. სასამართლოებში ერთი წლის განმავლობაში განიხილებოდა 7_8 სისხლის სამართლის საქმე, მოხელის მიერ ქრთამის აღების ფაქტზე. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა იმას, რომ ქვეყანაში ამ თვალსაზრისით იდეალური სიტუაცია სუფევდა. პირიქით, სტატისტიკა მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ქრთამის აღების ფაქტები არ ყოფილა გამოვლენილი და, შესაბამისად, დასჯილი. საქართველოში არსებულმა ასეთმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო სასამართლო ხელისუფლების ჩათრევას კორუფციის ჭაობში. 2003 წლიდან სახელმწიფოში დაიწყო მასშტაბური და ყოვლისმომცველი სასამართლო რეფორმა, რომლის ძირითადი მიმართულებები, შესაძლოა, შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. საკანონმდებლო ცვლილებები. შეიცვალა სასამართლო სისტემის სტრუქტურა. საქართველოს უზენაესი სასამართლო ჩამოყალიბდა წმინდად საკასაციო ინსტანციის სასამართლოდ, შეიქმნა სააპელაციო სასამართლო. რეფორმის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდება 18 გამსხვილებული სასამართლო. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ტერიტორიაზე არსებულ იმ ადმინისტრაციულ_ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც არ იქნება გამსხვილებული სასამართლო, იმუშავებს მაგისტრატი მოსამართლე, რომლის განსჯადობის საკითხი უკვე მოწესრიგებულია საკანონმდებლო დონეზე და საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილია შესაბამისი ცვლილება_დამატებები. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, სწრაფი და ეფექტური

მართლმსაჯულებისათვის, ის რომ, მოხდება მოსამართლეთა სპეციალიზაცია რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, რითიც მიიღწევა ზემოაღნიშნული მიზანი.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, დღიდან ამ სტრუქტურის დაარსებისა, მოსამართლეები იმყოფებოდნენ უმცირესობაში. ამჟამად საქართველოს კანონმდებლობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 19 წევრიდან 10 მოსამართლეა. ყველა გადაწყვეტილების მიღებისას, მოსამართლის ხმა იქნება გადამწყვეტი, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. საქართველოში მოქმედი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ასეთი მოდელი უცხო არ არის დასავლეთი ევროპის ზოგიერთი ქვეყნისათვის (მაგალითად, იტალია, საფრანგეთი).

3. სადისციპლინო სამართალწარმოება. საგრძნობლად გამარტივდა სადისციპლინო სამართალწარმოება. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებითა და დამატებებით სადისციპლინო საქმეს მოსამართლის მიმართ არსებითად განიხილავს სადისციპლინო კოლეგია, რომლის 6 წევრიდან 3 საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეა. კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, რომელიც შედგება უზენაესი სასამართლოს სამი მოსამართლისაგან. იგი უფლებამოსილია სადისციპლინო საქმე განიხილოს არსებითად, როგორც ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევით, ისე მოსამართლისათვის დაკისრებული დისიციპლინური სახდელის სამართლიანობისა და ადექვატურობის თვალსაზრისით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის სადამსჯელო ორგანო, გადაწყვეტილების მიღებისას იგი ძირეულად იხილავს საკითხს და ძალიან ფრთხილია დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საკითხის გადაწყვეტაში.

4. მოსამართლეთა სოციალური გარანტიები. მოსამართლეთა საშუალო ხელფასი გაიზარდა 52 %_ით და იგი კვლავ გაიზრდება. ხელფასების ზრდა დაგეგმილია მომავალი წლისთვისაც. მიმდინარეობს მოსამართლეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება. რემონტდება სასამართლოს შენობები. მთელი საქართველოს მასშტაბით წელს უნდა გარემონტდეს 24 შენობა და 7 მაგისტრატი მოსამართლის ადგილსამყოფელი. მომავალ წელსვე გარემონტდება 40 შენობა, სადაც იმუშავებენ მაგისტრატი მოსამართლეები. იქნება შესაბამისი თანამედროვე ინვენტარი, შიდა კომპიუტერული ქსელი, გახმოვანებული დარბაზები და სხვა თანამედროვე საშუალებები.

5. განხორციელდა ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში პროცესის სწრაფად წარმართვის მიზნით. გამარტივდა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის პროცესი.

6. ხაზი გაესვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახალ ინიციატივას. ეს არის რეკომენდაციები სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვან საკითხებზე. ისინი გადაეცა მოსამართლეებს. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ძირითადი მიზანია ქართულ მართლმსაჯულებაში სამართლის ნორმათა ერთგვაროვანი განმარტების დანერგვა, რაც სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების მისაღწევად ერთ_ერთი აუცილებელი კომპონენტია. აქვე განიმარტა, რომ ამ რეკომენდაციებისაგან გადახვევა უნდა იყოს დასაბუთებული, რათა არ მოხდეს ზემდგომ სასამართლოში გადაწყვეტილების გაუქმება. ერთიანი პრაქტიკის დანერგვა ხელს შეუწყობს სასამართლო ხელისუფლების თანმიმდევრულობის განცდას.

7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა. მოქმედ მოსამართლეთა მუდმივი გადამზადების მიზნით, მიმდინარეობს სემინარები მოქმედი მოსამართლეებისათვის. მომავალ წელს ეს სემინარები კიდევ უფრო დაიხვეწება და იგი უფრო ორგანიზებულ ხასიათს მიიღებს. ამოქმედდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფილიალი ბათუმსა და წყალტუბოში. მათი შენობების სარეკონსტრუქციო სამუშაოები თითქმის დასრულებულია. ადგილებზე იქნება სამუშაო და დასასვენებელი ადგილები მოსამართლეთათვის. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ისწავლიან მოსამართლეთა კანდიდატები. 14 თვის შემდეგ, სასამართლო სისტემა მიიღებს აბსოლიტურად ჩამოყალიბებულ მოსამართლეებს. ეს მეთოდი აპრობირებულია მრავალ დასავლთ ევროპის სახელმწიფოში.

8. მანდატურის ინსტიტუტი. სასამართლოში წესრიგი განუხრელად ყველამ უნდა დაიცვას. წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს მანდატური, რომლის ინსტიტუტის ამოქმედებამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი წესრიგის დაცვას, მის სტაბილურობას სასამართლოში.

თავმჯდომარემ დასძინა, რომ მის მიერ აღინიშნა ის ძირითადი პირობები, რომელიც მიმართულია ობიექტური და მიუკერძოებელი სასამართლოს ჩამოყალიბებისაკენ. ამ პირობების შექმნა არ ნიშნავს სამართლიან სასამართლოს, მაგრამ რეფორმის ძირითადი მიზანია სწორედ მოსამართლე, მისი დამოუკიდებლობა, სამართლიანობა, ობიექტურობა, მისი პრინციპულობა და კომპეტენტურობა, რაც ამ პირობების უკან მდგარი მოსამართლის, როგორც პიროვნების ჭეშმარიტი სახე უნდა დაგვანახოს: ეს არის მოსამართლის პრინციპულობა. შესაძლებელია, პირობებმა განაპირობონ მოსამართლის კვალიფიკაცია, მაგრამ პრინციპულობას მხოლოდ თავად მოსამართლის პიროვნება განსაზღვრავს. თავმჯდომარე შეეხო ისეთ საკითხს, როგორიც არის მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა. აღინიშნა, რომ ამაზე მიდის მუშაობა და იმედია, რომ ეს იდეა საბოლოოდ აუცილებლად შეისხამს ხორცს.

<u>დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით</u>

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა, ბატონმა ვალერი ცერცვაძემ, წარმოადგინა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

ბატონი ვალერი ცერცვაძე მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს და განაცხადა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებს რეფორმის ახალ ტალღას. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა მონიტორინგი და გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ სასამართლო სისტემაში დასაქმებული ადამიანები ვერ პასუხობდნენ გარკვეულ მოთხოვნებს. არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს სასამართლოს აპარატიც, მისი დაბალკვალიფიციურობისა და არაპროფესიონალიზმის გამო. ამჟამად მიმდინარეობს მნიშვნელოვანი საკადრო რეფორმა. მოსამართლის ძირითადი კრიტერიუმია მაღალი კვალიფიკაცია, კანონმდებლობის არა მხოლოდ მშრალი ცოდნა, არამედ მისი ანალიზის უნარი და მას გათავისებული უნდა ჰქონდეს რას ნიშნავს მოსამართლეობა. იგი უნდა იყოს აუცილებლად პატიოსანი წარსულის მქონე ადამიანი. მოსამართლე უნდა იყოს გაწონასწორებული, ეთიკური თვალსაზრისით მდგრადი პიროვნება. უნდა გააჩნდეს მაღალი მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

მოსამართლის კანდიდატის მიმართ არ უნდა არსებობდეს არანაირი ეჭვის საფუძველი იმისა, რომ იგი არაკომპეტენტურია ან შემჩნეულია კოროფციულ გარიგებებში.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი შეეხო ისეთ მნიშვნელოვან და მტკივნეულ საკითხს, როგორიცაა მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხვა. აღინიშნა, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით ლიკვიდიებულად გამოცხადდა თბილისის ხუთი რაიონული სასამართლო, საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები. შესაბამისად, მოსამართლეთა იმიჯის, საქმიანი რეპუტაციის, მათი გადაწყვეტილებების მდგრადობის გათვალისწინებით, მოსამართლეთა გარკვეული რაოდენობა ჩაირიცხა რეზერვში, რომლის სამართლებრივი რეჟიმი მოწესრიგებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხვის ფაქტი, გარკვეული გამონაკლისების გარდა, თითქმის არც ერთ მათგანს არ გაუპროტესტებია, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების ამ საკითხებთან დაკავშირებით სავსებით სამართლიანი იყო. მართალია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან, მხედველობაშია რეზერვში ჩარიცხული ამა თუ იმ მოსამართლის მიზანშეწონილობის საკითხი, მაგრამ ასეთი შეცდომის გამოსწორების ფაქტები უკვე არსებობს, როდესაც რეზერვში ჩარიცხული მოსამართლე კვლავ გამწესდა მოსამართლის თანამდებობაზე. რეზერვში ჩარიცხვა მოხდა მოსამართლის მორალური და საქმიანი რეპუტაციის გათვალისწინებით.

ბატონმა ვალერიმ ისაუბრა მოსამართლეთა კორპუსში კორუფციის არსებობის ფაქტზე. აქვე აღინიშნა, რომ დღეს გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა ამ თვალსაზრისით. ის, რომ ადამიანი არ იღებს ქრთამს დასჯის შიშით, ეს არ შეიძლება იყოს მთავარი მიღწევა. ჩვენი სურვილია სისტემაში მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც შინაგანი წესიერებით და მაღალი ზნეობრივი პრინციპებით გამოირჩევიან.

აღინიშნა, რომ ბევრ მოსამართლეს მუშაობა უწევს გაუსაძლის პირობებში, როგორც მატერიალურ_ტექნიკური, ისე საქმეთა სიმრავლის თვალსაზრისით. მოსამართლეობის სურვილი აქვს ძალიან ბევრ ადამიანს, მაგრამ არსებობს მაღალი სტანდარტი მოსმართლის კანდიდატისათვის, რაც ქმნის ვაკანსიებს სასამართლო ხელისუფლებაში. არიან მაღალკვალიფიციური კადრები, მაგრამ არ არიან მაღალზნეობრივი და კარგი კადრები.

სასამართლო დამოუკიდებლობა. სასამართლოს სახელის დისკრედიტაცია ხშირ შემთხვევაში ხდება გარკვეული პოლიტიკური წრეებისა და ადვოკატების მხრიდან. იმ ადვოკატების, რომლებიც შინაურულად გრძნობდნენ თავს მოსამართლეებთან და დღეს მათი კვალიფიკაციით ვერ ახერხებენ პროცესის მოგებას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა აღნიშნა, რომ მოსამართლე უნდა იყოს აუცილებლად პრნციპული, მკაცრი პროცესის წარმართვის დროს, დაიცვას მხარეთა უფლებები, მაგრამ ამავდროულად თამამად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოში წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ. იმ დროს, როცა მოსამართლე არ აღკვეთს წესრიგის დარღვევას სასამართლოში, ეს მეტწილად უთითებს მოსამართლის მიკერძოებულობაზე. თუ მოსამართლეს არ ყოფნის გამბედაობა, არც ეს საკითხი არ არის მისატევებელი.

ბატონმა ვალერი ციცრვაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის მოსამართლეთა მხარდამჭერი ორგანო, რომლის საქმიანობაც მხოლოდ მოსამართლის კეთილდღეობისკენაა მიმართული.

თავისი სიტყვის დასასრულს ბატონმა ვალერიმ მადლობა გადაუხადა მოსამართლეებს გაწეული მუშაობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ისინი ბოლომდე იბრძოლებენ სასამართლო სისტემის დამოუკიდებოლბისა და მიუკერძოებლობისათვის.

<u>დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით</u>

კონფერენციას ანგარიში წარუდგინა საერთო სასამართლოების მატერიალურ_ტექნიკური დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი კერვალიშვილმა, რომელმაც ისაუბრა საერთო სასამართლოებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე, ასევე სასამართლო შენობების კეთილმოწყობაზე. აღინიშნა, რომ მოხდება ყველა სასამართლოს აღჭურვა თანამედროვე ავეჯით, კომპიუტერული სისტემით, შექიმნება ერთიანი კომპიუტერული ქსელი, რაც ხელმისაწვდომს გახდის ნებისმიერ ინფორმაციას სასამართლოებთან დაკავშირებით. 2007 წლის განმავლობაში დაგეგმილია 18 გამსხვილებული სასამართლო შენობის სრული რეკონსტრუქცია, ხოლო 2008 წლის ბოლომდე კი დასრულდება იმ 40 შენობის სარემონტო სამუშაოები, სადაც იმუშავებს მაგისტრი მოსამართლე. დასასრულს ბატონმა გიორგი კერვალიშვილმა მადლობა გადაუხადა მოსამართლეებს თანამშრომლობისათვის და სთხოვა მათ დეტალური ინფორმაციის მიწოდება სასამართლოს შენობების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი სამი საკითხის მოსმენის შემდეგ კონფერენციის ხელმძღვანელმა მიმართა მოსამართლეებს სურვილის შემთხვევაში გამოეთქვათ საკუთარი პოზიცია და მოსაზრებები წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ და გამოეხატათ საკუთარი პოზიცია. მოსამართლეთა კონფერენციას სიტყვით მიმართა მოსამართლე ვახტანგ თორდიამ. მან აღნიშნა, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ტრანსფორმირდა სააპელაციო სასამართლოდ, ხოლო შემდგომ კი იგი მთლიანად იქნა ლიკვიდირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოსთან ერთად. ბატონმა ვახტანგმა გამოთქვა რწმენა, რომ კოდორში განვითარებული მოვლენები შექმნის წინაპირობებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის აღსადგენად. მან აქვე აღნიშნა, რომ გალი_გულირიფშის რაიონული სასამართლო მზად არის შეიცვალოს თავისი საქმიანობის ადგილი და განთავსდეს კოდორის ხეობაში. მანვე დასძინა, რომ სასურველი იქნებოდა დაწესდეს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კლასი, ასევე მოსამართლემ, რომელმაც სასამართლო ხელისუფლებაში იღვაწა 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჰქონდეს გადადგომის უფლება ისე, რომ შეუნარჩუნდეს

მოსამართლის წოდება და შესაბამისი სოციალური დაცვისა და ხელშეუხებლობის გარანტიები. აგრეთვე მოსამართლის ხელფასისა და შვებულების ხანგრძლივობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნეს მოსამართლედ ნამსახურობის სტაჟი. ვახტანგ თორდიამ გამოთქვა აზრი, რომ შევიდეს შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში, რომლის მიხედვითაც დაწესდება მოსამართლეთა ერთიანი სტატუსი, ორგანული კანონები საერთო სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოს შესახებ აისახება ერთიან საკანონმდებლო აქტში.

კონფერენციამ მოისმინა რა დღის წესრიგით გათვალისწინებული სამი საკითხი, კენჭი უყარა და ერთხმად მიიღო დადგენილება ,"სასამართლოს რეფორმის შეფასებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ"

სხდომის მეორე ნაწილი

კონფერენციის მეორე ნაწილი დაეთმო დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა კენჭისყრებს. ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა კონფერენციის მონაწილეებს განუმარტა, რომ კონფერენცია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება თუ მის მუშაობაში მონაწილეობს საერთო სასამართოლების მოსამართლეთა ნახევარზე მეტი. კონფერენციაში მონაწილე პირთა რაოდენობის დადგენის მიზნით, ჩატარდა მონაწილეთა ხელახალი რეგისტრაცია.

კონფერენციამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნინო ონიანი
2. დალი მეტრეველი
3. თამარ ზამბახიძე

კონფერენციის მონაწილეთა ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ დადგინდა, რომ კენჭისყრებში მონაწილეობას იღებდა 193 მოსამართლე.

<u>დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით</u>

მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის პროექტი კონფერენციას წარუდგინა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მდივანმა ბატონმა ვალერი ცერცვაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ რეგლამენტის ახალი რედაქციის მიღება განაპირობა კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, კერძოდ, გაუქმდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მოსამართლეთა კონფერენციები და მოსამართლეთა საკოორდინაციო საბჭო. სადისციპლინო სამართალწარმოებაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, გაუქმდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭო. ასევე აღსანიშნავია, რომ კონფერენციის მოქმედი რეგლამენტი დახვეწას მოითხოვდა ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების თვალსაზრისით. ზემოაღნიშნულდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივად, დღის წესრიგში დადგა მოსამართლეთა კონფერენციის ახალი რეგლამენტის დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი კონფერენციამ ერთხმად დაამტკიცა.

<u>დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით</u>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა ,,საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ~ ორგანული კანონის 79_ე მუხლის ,,ბ~ პუნქტის შესაბამისად, კონფერენციას წარუდგინა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ_მოსამართლეთა სამი კანდიდატურა.

კონფერენციამ განიხილა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის, ირაკლი ადეიშვილის კანდიდატურა,

კენჭი უყარა მას და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ირაკლი ადეიშვილის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევის შესახებ.

კონფერენციამ განიხილა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაია სულხანიშვილის კანდიდატურა, კენჭი უყარა მას და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მაია სულხანიშვილის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევის შესახებ.

კონფერენციამ განიხილა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მარინე ცერცვაძის კანდიდატურა, კენჭი უყარა მას და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მერინე ცერცვაძის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევის შესახებ.

<u>დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით</u>

საქართველოს იუტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა, ბატონმა ვალერი ცერცვაძემ, საერთო სასამართლოების სესახებ საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის `ე~ პუნქტის თანახმად, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასანიშნად თანხმობის მისაღებად კონფერენციას წარუდგინა გიორგი კერვალიშვილის კანდიდატურა.

კონფერენციამ კენჭი უყარა წარმოდგენილ კანდიდატურას და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება: თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარედ გიორგი კერვალიშვილის დანიშვნის თაობაზე.

<u>დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით</u>

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ `საერთო სასამართლოების შესახებ~ ორგანული კანონის 78-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეთა კონფერენციის შემადგენლობაში იქმნება ადმინისტრაციული კომიტეტის, რომლის შემადგენლობას ირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია სამი წლის ვადით. მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულ კომიტეტს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა 2006 წლის 28 ივნისს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის მოსამართლეთა კონფერენციის 9 წევრიდან ვაკანტურია 8 წევრის ადგილი. "საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 78-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე. მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-14 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი აირჩევა ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით და გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც უფრო მეტ ხმას მიიღებენ.
მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის კანდიდატებად დასახელდნენ: ნუგზარ სხირტლაძე, ვახტანგ თორდია, დურმიშხან ჟორჟოლიანი, მიხეილ ბებიაშვილი, თამაზ ურთმელიძე, გიორგი გვენეტაძე, დიანა ბერეკაშვილი, ჟანა ჯიბლაძე, პაატა ქათამაძე, ნინო სანდოძე, ლაზარე ძირკველიშვილი, ჯემალ კიკნაძე, თამარ ჭუნიაშვილი, გოჩა ფუტკარაძე. იმ მოტივით, რომ ლაზარე ძირკველიშვილი და ჯემალ კიკნაძე არიან სასამართლოს თავმჯდომარეები, მათი კანდიდატურები კენჭისყრაზე არ იქნა დაყენებული.

კენჭისყრის შედეგებით ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. მიხეილ ბებიაშვილი 156 მომხრე 1 წინააღმდეგი
2. ნუგზარ სხირტლაძე მომხრე 169 მოსამართლე 1 წინააღმდეგი
3. გიორგი გვენეტაძე მომხრე 128 მოსამართლე
4. ვახტანგ თორდია 179 მომხრე
5. ნინო სანდოძე 165 მომხრე
6. პაატა ქათამაძე 154 მომხრე
7. დიანა ბერეკაშვილი 114 მომხრე

8. დურმიშხან ჟორჟოლიანი 157 მომხრე
9. თამაზ ურთმელიძე 151 მომხრე
10. ჟანა ჯიბლაძე 136 მომხრე
11. გოჩა ფუტკარაძე 116 მომხრე
12. თამარ ჭუნიაშვილი 129 მომხრე

მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებად არჩეულ იქნენ:

1. ვახტანგ თორდია
2. ნუგზარ სხირტლაძე
3. დურმიშხან ჟორჟოლიანი
4. მიხეილ ბეგბიაშვილი
5. ნინო სანდოძე
6. პაატა ქათამაძე
7. თამაზ ურთმელიძე
8. ჟანა ჯიბლაძე

დასასრულს, ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა კონფერენციას მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დაგეგმილია ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის შეიმუშავება და დასამტკიცებლად მოსამართლეთა კონფერენციისათვის წარდგენა. ბოლოს მან მადლობა გადაუხადა მონაწილეებს კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისთვის, გაწეული საქმიანობისათვის და უსურვა წარმატებები თითოეულ მათგანს. ამით მოსამართლეთა მეხუთე კონფერენციამ მუშაობა დაასრულა.

მოსამართლეთა კონფერენციის ხელმძღვანელი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი

მოსამართლეთა კონფერენციის მდივანი

მაია ჯვარშეიშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა #2

2006 წლის 5 აგვისტო თბილისი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

"საერთო სასამართალოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის "გ" პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტი თანდართული სახით (დანართი #1, ფურც. 8).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა # 3

2006 წლის 5 აგვისტო თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევის თაობაზე

"საერთო სასამართალოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის "ბ" პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მაია სულხანიშვილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 4

2006 წლის 5 აგვისტო თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევის თაობაზე

"საერთო სასამართალოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის "ბ" პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე ირაკლი ადეიშვილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 5

2006 წლის 5 აგვისტო თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევის თაობაზე

"საერთო სასამართალოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის "ბ" პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნას თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე მარიკა ცერცვაძე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 6

2006 წლის 5 აგვისტო თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასანიშნად თანხმობის მიცემის თაობაზე

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის "ე" პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა რეგლამენტის მე-5-6 მუხლების თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

მიეცეს თანხმობა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარედ ბატონ გიორგი კერვალიშვილის დანიშვნის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 7

2006 წლის 5 აგვისტო თბილისი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

"საერთო სასამართალოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის "ა' პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა რეგლამენტის მე-6 მუხლების თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად ვახტანგ თორდია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 8

2006 წლის 5 აგვისტო თბილისი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

"საერთო სასამართალოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის "ა" პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა რეგლამენტის მე-6 მუხლების თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად ნუგზარ სხირტლაძე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 10

2006 წლის 5 აგვისტო თბილისი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

"საერთო სასამართალოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის "ა" პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა რეგლამენტის მე-6 მუხლების თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად პაატა ქათამაძე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 11

2006 წლის 5 აგვისტო თბილისი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

"საერთო სასამართალოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის "ა" პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა რეგლამენტის მე-6 მუხლების თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად ჟანა ჯიბლაძე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 12

2006 წლის 5 აგვისტო თბილისი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

"საერთო სასამართალოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის "გ" პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა რეგლამენტის მე-6 მუხლების თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად დურმიშხან ჟორჟოლიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 13

2006 წლის 5 აგვისტო თბილისი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

"საერთო სასამართალოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის "ა" პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა რეგლამენტის მე-6 მუხლების თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად მიხეილ ბებიაშვილი.

საქართველოს უზენაესი
სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 14

2006 წლის 5 აგვისტო თბილისი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

"საერთო სასამართალოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის "ა" პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა რეგლამენტის მე-6 მუხლების თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად თამაზ ურთმელიძე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი